ხელშეკრულება N101

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი

22 ნოემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“** (შემდგომში _ ,,შემსყიდველი'') **წარმოდგენილი დირექტორის ბონდო მარუაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ვორდი“ ს/კ 400203392 (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ტარიელ გუნცაძის სახით,** ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: შემსყიდველის სახსრებით 2.1 მუხლში მოცემული საქონლის შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1

#	დასახელება	CPV კოდი	განზ.	რა-ბა	ერთ. ფასი	მთ. ფასი
1	სპეც. ტანსაცმელი ზ.ქ.	18114000	წყ.	8	50	400
2	სპეც. ტანსაცმელი ელ. შემდუღებლის	18114000	წყ.	2	150	300
3	რეზინის კომბინიზონი	18114000	წყ.	3	70	210
4	ხელთათმანი რეზინის მაღალყელიანი	18141000	წყ.	3	20	60
5	ხელთათმანი ელ. შემდუღებლის	18141000	წყ.	6	5	30
6	სამუშაო ხელთათმანი	18141000	წყ.	200	0.8	160
7	საწვიმარი ლაბადა	18221300	ც.	3	20	60
8	ქურთუკი	18210000	ც.	10	60	600
9	სპეც. ფეხსაცმელი	18811000	წყ.	15	45	675
	სულ					2495

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა – **2495 (ორი ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი)** ლარი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადით.

5.2 მიწოდების ადგილი - თბილისი, ელიავას ბაზრობა.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია 14.2 პუნქტში მითითებული პირი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება საქონლის მოწოდების და სათანადო დოკუმენტაციის ხელმოწერიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.6 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შესყიდვის ობიექტის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **წყალარინების, სარწყავი სისტემების, ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების განყოფილების უფროსი ზაზა მუზაშვილი.**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (საიდანაც ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 ხელმოწერით ვადასტურებ რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური"	შპს ვორდი
ს/კ 418465315	ს/კ 400203392
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
კოდი : TRESGE22	ბანკის კოდი : BAGAGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE84 BG 0000 0001 9922 4300
იურიდიული მისამართი: გორი, გრიგოლ ფერაძის ქ., № 5	მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი
ფაქტობრივი მისამართი: გორი, სოფელი ბერბუკი	დასახლება თემქა , მ/რ.III , კვარ. II , კორპ.34 ბინ. N36
	დირექტორი ტარიელ გუნცაძე

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

თარიღი: 22 ნოემბერი 2018 წელი

მიმწოდებელი: შპს „ვორდი“ ს/კ 400203392

ხელშეკრულება: N-101

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

წყალარინების, სარწყავი სისტემების, ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების განყოფილების უფროსი — ზ. მუზაშვილი

იურისტი - შესყიდვების მენეჯერი — გ.ნასყიდაშვილი

მიღება - ჩაბარების აქტი

ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური"

თბილისი

22 ნოემბერი 2018 წ.

/ერთის მხრივ/ ,,მიმღები" ა(ა) იპ „**გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების** სამსახური"-ს წყალარინების, სარწყავი სისტემების, ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების განყოფილების უფროსი ზაზა მუზაშვილი და /მეორეს მხრივ/ ,,ჩამბარებელი" **შპს „ვორდი" -ს დირექტორი ტარიელ გუნცაძე**, ვაფორმებთ მიღება - ჩაბარების აქტს შემდეგზე: მიმღებმა მიიღო, ჩამბარებელმა ჩააბარა:

#	დასახელება	CPV კოდი	განზ.	რა-ბა	ერთ. ფასი	მთ. ფასი
1	სპეც. ტანსაცმელი ზ.ქ.	18114000	წყ.	8	50	400
2	სპეც. ტანსაცმელი ელ. შემდუღებლის	18114000	წყ.	2	150	300
3	რეზინის კომბინიზონი	18114000	წყ.	3	70	210
4	ხელთათმანი რეზინის მაღალყელიანი	18141000	წყ.	3	20	60
5	ხელთათმანი ელ. შემდუღებლის	18141000	წყ.	6	5	30
6	სამუშაო ხელთათმანი	18141000	წყ.	200	0.8	160
7	საწვიმარი ლაბადა	18221300	ც.	3	20	60
8	ქურთუკი	18210000	ც.	10	60	600
9	სპეც. ფეხსაცმელი	18811000	წყ.	15	45	675
	სულ					2495

მიღება - ჩაბარების აქტი შედგა თანაბარი ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, აქედან 2 (ორი) ეგზემპლიარი რჩება მიმღებთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლიარი რჩება ჩამბარებელთან.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

„მიმღები"

ზაზა მუზაშვილი

„ჩამბარებელი"

ტარიელ გუნცაძე